

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
საქართველოს სსრ სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР
ГРУЗИНСКАЯ ГОСУДАРСТВЕННАЯ НАЦИОНАЛЬНАЯ
БИБЛИОТЕКА

იოსებ ბრიჭაშვილი

(დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით)
ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებელი

ИОСИФ ГРИШАШВИЛИ

(К 100-летию со дня рождения)
Рекомендательный указатель литературы

შ ე მ დ გ ე ნ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ

1989 წლის 12 აპრილს შესრულდა 100 წელი ქართველი საბჭოთა პოეტის და საზოგადო მოღვაწის იოსებ გრიშაშვილის დაბადებიდან.

საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის განყოფილებამ მოამზადა ლიტერატურის სარეკომენდაციო საძიებელი ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც მოიცავს წიგნებს, საეურნალო და საგაზეთო სტატიებს. საძიებელში შეტანილია ძირითადად უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე გამოცემული ლიტერატურა.

მასალა განლაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით:

1. შემდგენლებისაგან
2. ი. გრიშაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები
3. ი. გრიშაშვილის შემოქმედება
4. ლიტერატურა ი. გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ა) ი. გრიშაშვილის ბიოგრაფია

ბ) მოგონებები ი. გრიშაშვილზე

გ) ლიტერატურა ი. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ

5. ი. გრიშაშვილი და თეატრი

სარეკომენდაციო საძიებლის მიზანია მკითხველთა ფართო წრეს გააცნოს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. გრიშაშვილის ცხოვრება და შემოქმედება.

მასალა მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე. მასალის შერჩევა დასრულდა 1988 წლის ნოემბერში.

იოსებ გრიშაშვილი

28 IV 1889 — 8 VIII 1905

საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე იოსებ (ი.ოსო) გრიგოლის ძე გრიშაშვილი (მამულაშვილი) დაიბადა თბილისში ხარფუხელი კალატონის ოჯახში. მისი ბავშვობა განუყოფელი იყო მისი თანატოლი ხარფუხელებისაგან. წერა-კითხვა იოსებს ღეღამ ასწავლა. პირველად მან ჩაუნერგა პატარა სოსოს წიგნისადმი სიყვარული. იოსების ბავშვობა არ იყო სახარბიელო. ბედმა საკმაოდ მძინე ცხოვრება არგუნა. მამა 1904 წელს გარდაიცვალა. ნიჟერი ყმაწვილი. რომელიც თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და ლუკმბურისათვის ეზრუნა, თუმცა იგი მაინც განაგრძობდა თვითგანვითარებას. მამისადმი დიდი სიყვარული იოსებმა იპოვა გამოჩაჩა, რომ მან მისი სახელი დაუდო საფუძვლად თავის ლიტერატურულ ფსევდონიმს.

თბილისი ცნობილი იყო თავისი ქალაქური პოეზიით, რომელიც ასახავდა მის მკვიდრთა ყოველდღიურ ცხოვრებას. ლხინსა თუ ქირა. ქალაქის მკვიდრთა სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ფოლკლორს ეკავა. რომელიც ის მასაზრდოვებელი წყარო გახლდათ. რაზედაც ი. გრიშაშვილი ხაზგასმით მიუთითებდა: „მე ვარ თვითგანვითარებული პოეტი, თბილისის ფოლკლორზე აღზრდილი.“

პოეტის შემოქმედებით „ასაკში“ შესვლა დაემთხვა რუსეთის პირველი რევოლუციის მშფოთვარე ხანას. 1906 წელს იოსებმა გამოსცა მის მიერ შედგენილი ლექსთა კრებული „ვარდის კონა“, რომელშიც შეტანილი იყო როგორც საკუთარი. ასევე ქალაქის ლიტერატურული ბოჰემის წარმომადგენლების ლექსები. დამწყები პოეტი თეატრმა და სცენისმოყვარეთა სახალხო წარმოდგენებმა გაიტაცა. იგი იყო ხარფუხის „თეატრის“ მსახიობიც, რეჟისორიც და ავტორიც. ამ თეატრისათვის დაწერა მან ერთმოქმედებიანი კომედიები: „ტიმოთეს ლეღვი“, რომელიც 1911 წელს ცალკე წიგნად გა-

მოიცა: „ბოიკოტი“ და „ლოთები ორთაქალაში“. სცენისმოყვარეობამ და თეატრის უზადო სიყვარულმა პოეტის თვითგანვითარებას დიდად შეუწყო ხელი.

1907 წელს იოსები ვალერიან გუნიაძე ქართულ თეატრში მიიწვია სუფლიორად. მოგონებებში: „ლადო გულანჯიანი“. „მე განაპირა უბნებში“ და „დ. ერისთავი“ ი. გრიშაშვილს ჩინებულად აქვს მოთხოვნილი თავისი ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ. სუფლიორობის გარდა თეატრში იგი სწირად მეორეხარისხოვან როლებსაც ასრულებდა, რასთავისაც დანატებით ანაზღაურებას ღებულობდა. მოკარნახედ ქართულ თეატრში იოსებმა 1913 წლის თებერვლამდე დაჰყო. სამუშაოდან თავისუფალ დროს იგი სთლიანად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდიარ ბიბლიოთეკაში ატარებდა.

1917 წლიდან იოსებმა მუშაობა დაიწყო ქართულ პრესაში. გამოაქვეყნა მრავალი წერილი, რეცენზია, კორესპონდენცია. ბიბლიოგრაფიული თუ სატირულ-პოლემიკური ხასიათის წერილები.

1915 წლის ნოემბერში ქუთაისში დასაბამი მიეცა ქართველი სინბოლისტების გაერთიანებას — „ცისფერ ყანწებს“, რომელთა ლიტერატურულ ორგანოში გრიშაშვილმა ორი ლექსი განოქვეყნა: „სპინავა დედოფალს“ და „შეშლილი თათარი“. „ცისფერ ყანწებს“ მონაწილეობა სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს ი. გრიშაშვილს გაეზიარებინოს ამ ჯგუფის მხატვრულ-იდეური თვალსაზრისი. 1917 წელს მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა და საბოლოოდ განწყობილებამაც იჩინა თავი.

1917 წელს ი. გრიშაშვილმა დააარსა ერთდროული სალიტერატურო ჟურნალი — „ლეილა“, რომელმაც თვითმიზნად წმინდა ხელოვნების მსახურება დაისახა რაც მან მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც განახორციელა.

1917 წლის 5 ოქტომბერს საინიციატივო ჯგუფის თაოსნობით მოწვეული იყო ქართულ მწერალთა დამფუძნებელი კრება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის მიზნით. დამფუძნებელმა კრებამ აირჩია სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, რომლის შემადგენლობაში ერთსმად იქნა არჩეული ი. გრიშაშვილი.

1919-1921 წლებში ი. გრიშაშვილი უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი გახდა. იგი 4 წლის განმავლობაში უსმენდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ლექციებს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. 1921-25 წწ, ქართულ მწერლობაში მწვავე ბრძოლებით აღინიშნა. ისტორიულ გარდატეხათა ხანაში ი. გრიშაშვილი „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ ძლიერი

კორპორაციის წევრი გახდა, რომელიც 1921-25 წლებში „აკადემიური ასოციაციის“ სახელით იყო ცნობილი.

1921 წლის ოქტომბერში, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მესამე კონფერენციაზე ი. გრიშაშვილი ამ კავშირის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილედ აირჩიეს.

1921-1925 წლებში პოეტი, როგორც საკმაოდ ქმედითი წევრი „აკადემიური გაერთიანებისა“ აქტიურად თანამშრომლობდა ამ ჯგუფის ბეჭდვით ორგანოებში „ხომალდი“, „ილიონი“, „ლოძისი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ლაშარი“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“. იგი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც მთარგმნელი, ლიტერატურული მკვლევარი.

1922 წელს „სახელგამმა“ გამოსცა მისი ლექსების მეორე წიგნი, რომელმაც გააერთიანა 1914-1920 წლებში დაწერილი ლექსები. 1924 წელს გამოიცა მის მიერ ნათარგმნი ო. თუმანიანის „რჩეული“ 1925 წელს ცალკე წიგნად გამოიცა მის მიერ ნათარგმნი ე. კარალოვიჩის კომედია „ამერიკელი ქალი, ანუ ისეთი მამაკაცი“. 1927 წელს გამოიცა ზონოგრაფია — „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

1928 წელს ი. გრიშაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქართველი მწერლების მეორე ყრილობის მუშაობაში.

1930 წელს იგი აირჩიეს „რუ“ ეთის დრამატურგთა და კომპოზიტორთა საზოგადოების“ წევრად.

1933 წლიდან ი. გრიშაშვილი საქმიანად თანამშრომლობდა ახლად დაარსებული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების (ელხი) ინსტიტუტში, რომელიც ჩამოყალიბდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან.

პოეტმა ქართულ ენაზე თარგმნა მირზა ფატალი ახუნდოვის პოემა „პუშკინის გარდაცვალებაზე“. შეადგინა და გამოაქვეყნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ტ. შევჩენკოს, ალ. ოსტროვსკის, მ. გორკის, აგრეთვე სომეხი ავტორების ქართულად ნათარგმნი ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია.

1934 წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო პოეტის ცხოვრებაში. იგი აირჩიეს სსრკ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად. ამავე წელს იგი დაამტკიცეს საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს „ლიტერატურული გაზეთის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

1939 წელს მგოსანს შეუსრულდა დაბადების 50 წლისთავი. იმავე წელს გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური ნაშრომი — „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“. 1940 წელს გამოაქვეყნა შესანიშნავი გამოკვლევა — „ალექსანდრე

ქავკავაძე“. ი. გრიშაშვილმა დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე აკაკი წერეთლის 15 ტომეულის გამოცემაზე.

1944 წელს მხატვრული ლიტერატურის დარგში თეალსაჩინო დამსახურებისათვის და მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით იგი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1945 წელს მიენიჭა სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1946 წლის 28 დეკემბერს პოეტი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1949 წელს გამოცემული „ერთტომეულისათვის“ პოეტს 1950 წელს მიენიჭა სსრ სახელმწიფო პრემია.

ი. გრიშაშვილმა შექმნა უნიკალური წიგნსაცავი, რომელიც ანდერძით, უსასყიდლოდ დაუტოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, როგორც ამ აკადემიის ნამდვილმა წევრმა 1947 წლიდან.

ი. გრიშაშვილმა გამოსცა ლექსების „ერთტომეული“ (1955), კრებულები „მხოლოდ სიყვარული“ (1957 და 1958 წწ.) „რჩეული“ (1959), აგრეთვე „ლიტერატურული ნარკვევები“ (1957), „თეატრალური წერილები“ (1960).

1959 წელს დაბადების 70 და მოღვაწეობის 55 წლისთავთან დაკავშირებით ი. გრიშაშვილს მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის წოდება.

ი. გრიშაშვილი გარდაიცვალა 1965 წლის 3 აგვისტოს. იგი დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ი. გრიშაშვილის შემოქმედება

გრიშაშვილი ი. თხზულებანი 5 ტომად ტ. I. — თბ.: საბჭ. საქართველო, 1980. — 332 გვ.

წიგნში მოთავსებულია ი. გრიშაშვილის მიერ 1906—1920 წლებში გამოქვეყნებული ლექსები.

გრიშაშვილი ი. თხზულებანი 5 ტომად. ტ. II. — თბ.: საბჭ. საქართველო, 1982. — 348 გვ.

ტომში შესულია 1922—1960 წლებში დაწერილი ლექსები, აგრეთვე საბავშვო ლექსები და პოემები.

გრიშაშვილი ი. თხზულებანი 5 ტომად. ტ. III. — თბ.: საბჭ. საქართველო, 1985. — 440 გვ.

III ტომში შევიდა ლიტერატურული წერილები: საიანოვა. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა.

გრიშაშვილი ი. თხზულებანი 5 ტომად. ტ. 4. — თბ.: საბჭ. საქართველო, 1985. — 404 გვ.

1915—1943 წლებში გამოქვეყნებული ლიტერატურული წერილები და ნარკვევები.

გრიშაშვილი ი. თხზულებანი 5 ტომად. ტ. 5. — თბ.: საბჭ. საქართველო, 1985. — 316 გვ.

ქრებულში შევიდა ნარკვევები, წერილები, მოგონებები, სიტყვები.

გრიშაშვილი ი. ერთტომეული. — თბ.: სახელგამი. 1949. — 622 გვ.

ჩრეული ლექსების ერთტომეული შესდგება ორი მთავარი განყოფილებისაგან:

პირველ განყოფილებაში მოთავსებული ლექსები (1921—1949) დაყოფილია რკალებად.

ხოლო მეორე განყოფილების ლექსები დალაგებულია ქრონოლოგიურად — 1906—1920.

წიგნის დასასრულს, დამატების სახით, მოკეზილია მოძმე ხალხთა პოეზიის ნიმუშები ი. გრიშაშვილის თარგმანებში.

გრიშაშვილი ი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა. — ბათუმი: საბჭოთა აჭარა, 1986. — 204 გვ.

ამ წიგნში მკითხველი გაეცნობა საქართველოს ეთნოგრაფიას, ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის საკითხებს.

გრიშაშვილი ი. ხელოვნებას: თეატრი. კინო. სიმღერა. ცეკვა.
— თბ.: ხელოვნება, 1979. — 136 გვ.

წიგნი წარმოადგენს ი. გრიშაშვილის იმ ლექსების კრებულს, რომლებიც პოეტმა მიუძღვნა ქართული ხელოვნების საკითხებს, მის მოღვაწეებს.

გრიშაშვილი ი. პატარა ოსტატები. — თბ.: ნაკადული, 1984.
— 37 გვ.

იოსებ გრიშაშვილის ამ კრებულში შესულია ბავშვებზე დაწერილი ლექსები, რომლებიც სიყვარულით, ერთგულებით, ყმაწვილებზე ფიქრითა და ზრუნვით არის გამსჭვალული.

გრიშაშვილი ი. ლიტერატურული ნარკვევები. — თბ.: სახელგამი, 1957. — 520 გვ.

წიგნი შეიცავს ქართული ლიტერატურული ცხოვრების შესახებ ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაწერების მხოლოდ ნაწილს. წერილები ამ კრებულში ისტამბება პირველი დაბეჭდვის თარიღის მიხედვით. ზოგიერთი მათგანი ოდნავ შეესებოდა და შესწორებულია.

გრიშაშვილი ი. ნიკო გოცირიძე. — თბ.: 1924. — 46 გვ.

მსახიობ ნიკო გოცირიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოგვეთხრობს ავტორი.

გრიშაშვილი ი. სტეფანე ფერშანგიშვილი მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. — 1978. — № 1. — გვ. 150—159.

პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ნარკვევში, რომელიც არ გამოქვეყნებულა პოეტის სიცოცხლის პერიოდში, მოცემულია XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის აშუღური პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენლის სტეფანე ფერშანგიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

გრიშაშვილი ი. ახალგაზრდებო, გამოდით გარეთ: ლექსი ახ. კომუნისტი. — 1980. — 1 მაისი.

გრიშაშვილი ი. ბესო ჟღენტის მოხსენების შემდეგ: ლექსი ლიტ. საქართველო. — 1979. — 2 თებ.

გრიშაშვილი ი. ბუკინისტან (დიალოგი): ლექსი წიგნ. სამყარო. — 1979. — 10 იანვ.

გრიშაშვილი ი. თბილისი, ბაქო და ერევანი: ლექსი ახ. კომუნისტი. — 1988. — 26 მარტი.

ლომჯარია ი. იოსებ გრიშაშვილის უცნობი ლექსის გამო ლიტ. საქართველო. — 1982. — 23 აპრ. — გვ. 13.

ვეცნობით 1950 წლის 23 აპრილს დაწერილ ლექსს: „აკაკი ვასაძის“ (მუნასიბი) რომელიც დღემდე უცნობი იყო მკითხველისათვის.

ბუციშვილი ხ. ი. გრიშაშვილის „საახალწლო ექსპრომტები“
თეატრ. მოამბე. — 1970. — № 5. — გვ. 23—26.

ი. გრიშაშვილის თავის ლექსების კრებულში აღარ შეუტანია
1910 წელს გაზეთ „ხალხის“ საახალწლო ნომერში დაბეჭდილი
„საახალწლო ექსპრომტები“, რომლებსაც ხელს აწერს თავისი უძვე-
ლესი ფსევდონიმით: გრიგორი.

უფრონაღის ამ ნომერში ვეცნობით სწორედ ამ „საახალწლო
ექსპრომტებს“.

ლიტერატურა ი. გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ

ა) ი. გრიშაშვილის ბიოგრაფია

✓ ბაიძე ვ. იოსებ გრიშაშვილი. — თბ.: საქ. სსრ საზ-ბა „ცოდ-
ნა“, 1980. — 32 გვ.

საინტერესოდ და ვრცლად ვეცნობით ნაშრომში იოსებ გრი-
შაშვილის ბიოგრაფიას, რომელიც ბევრს გვეუბნება პოეტის პო-
ეზიის შესახებ. საინტერესოდ არის განხილული მთელი მისი
მრავალმხრივი შემოქმედება, რომელიც ყოველთვის შეუწელებელ
ინტერესს აღძრავს თანამედროვეებსა და შთამომავლობაში.

✓ შერკვაილაძე გ. „ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს...“ გერ-
კვილაძე გ. ფიქრები პოეზიაზე. — თბ., 1975. — გვ. 244—295.

წერილში ვეცნობით იოსებ გრიშაშვილის ბიოგრაფიასა და მი-
სი შემოქმედების ვრცელ ანალიზს.

✓ რადიანი შ. იოსებ გრიშაშვილი რადიანი შ. რჩეული ნაწერე-
ბი წიგნი მე-2. — თბ., 1972. — გვ. 218—237.

ავტორი განიხილავს იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებას. მოგ-
ვითხრობს მისი ბიოგრაფიის, მრავალფეროვანი ნიჟის, მისი ნაყო-
ფიერი საკვლევებად მუშაობის შესახებ ქართულ ლიტერატურა-
ში და აღნიშნავს: „ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში ი. გრიშაშ-
ვილის პოეზია ძვირფასი განძია. მან ახალი პორიზონტები გადაუშა-
ლა ქართულ პოეზიას. ეს იყო უჩვეულო ლექსები განსაკვიფრებე-
ლი რიტმით და რითმით, აღსავსე ბგერებით და ფერებით, ცოცხა-
ლა სიტყვის მუსიკით. ამიტომ ასე დიდია მისდამი სიყვარული ფარ-
თო მკითხველ საზოგადოებაში.“

✓ ჯიბლაძე გ. იოსებ გრიშაშვილი: კრიტიკული ეტიუდი (გრიშაშ-
ვილი ი. ერთტომეული. — თბ., 1949. — გვ. 9-45.

კრიტიკულ ეტიუდში ი. გრიშაშვილის „ავტობიოგრაფიის“ მი-
ხედვით გადმოცემულია მწიგნობის ცხოვრება. განხილულია მისი
მრავალფეროვანი შემოქმედება.

✓ ჯიბუტი ვ. იოსებ გრიშაშვილი ჯიბუტი ვ. ცხოვრების მხარდა-
მხარ — თბ., 1960. — გვ. 20-31.

წერილში ვეცნობით იოსებ გრიშაშვილის ოჯახის ისტორიას და
იმ მეტად საინტერესო ცხოვრებას, რომელიც სასიქადულო პოეტმა
განვლო.

ბ) მოგონებები ი. გრიშაშვილზე

✓ ანანიაშვილი ქ. ძველი თბილისის ბოქემა ლიტ. საქართველო. —
1988. — 22 აპრ (№ 17). — გვ. 14.

მოგონებები ი. გრიშაშვილზე.

— ქაროსანიძე ც. ძველო თბილისო, გტოვებ, ნახვამდის! ქაროსანი-
ძე ც. აქამდე არა გეტოვებენ. — თბ., 1984. — გვ. 24-37.

იბეკლება ც. ქაროსანიძის მოგონება ი. გრიშაშვილზე.

✓ კიკინაძე ლ. იოსებ გრიშაშვილი კიკინაძე ლ. შუქი სხივოსან-
თა. — თბ., 1974. — გვ. 46-64.

მოგონებაში ავტორი მოგვითხრობს თავისი შეხვედრების შესა-
ხებ იოსებ გრიშაშვილთან, გვესაუბრება პოეტის თანამშრომლობის
შესახებ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში, აგვიწერს მის ბიბლიოთე-
კა-მუხეულს.

✓ ჩავლეიშვილი ა. საუბრები იოსებ გრიშაშვილთან ჩავლეიშვი-
ლი ა. ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები. — თბ., 1962. —
გვ. 89-101.

ავტორი მოგვითხრობს თავისი შეხვედრების შესახებ იოსებ
გრიშაშვილთან და გვაცნობს მასთან რამდენიმე საუბრის ჩანაწერს.

✓ ჩიხლაძე ნ. ორი მეგობარი წიგნ. სამყარო. — 1984. — 23 მა-
ისი. (№ 10). — გვ. 7.

ავტორი მოგვითხრობს ი. გრიშაშვილისა და პოეტის, დრამა-
ტურგისა და მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ბეგ-
ლარ ახოსპირელის მეგობრობის შესახებ.

გ) ლიტერატურა ი. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ

✓ არველაძე ბ. ძმობის ჩუქურთმა. — თბ.: საბჭ. საქართველო,
1987. — 213 გვ.

წიგნში განხილულია იოსებ გრიშაშვილის პოეტური და ლიტე-
რატურული მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა შორის ლი-
ტერატურულ-კულტურული ურთიერთობის გაფართოებისა და გან-
ვითარების საქმეში.

— არველაძე ბ. კუსრაშვილი რ. იოსებ გრიშაშვილის პოეტური სამ-
ყარო. — თბ.: საბჭ. საქართველო. 1976. — 115 გვ.

წიგნში განხილულია იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი მუშაობის ის რთული პროცესი, რომელიც პოეტს გაუწევია ლექსის მხატვრულად დახვეწისა და სრულყოფის მიზნით. ნაშრომი ძირითადად აგებულია ი. გრიშაშვილის არქივში დაკულ უცნობ ან ნაკლებად ცნობილ მასალებზე.

✓ ბაიადე ვ. იოსებ გრიშაშვილი. — თბ.: ნაკადული, 1966.-74 გვ, ი. გრიშაშვილის მთელი ცხოვრება და შემოქმედება მშობელი ერის, მშობლიური მწერლობისადმი სიყვარულითაა გამთბარი. ვ. ბაიადე თავის წიგნში სწორედ ამ დიდ სიყვარულზე, პოეტის განვლილ გზასა და შემოქმედებაზე გვესაუბრება.

✓ გრიშაშვილი იოსებ გრიგოლის ძე (1889-1965) ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი. — თბ., 1968. — გვ. 21-23.

მოკლე ცნობები გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახალხო პოეტ-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

✓ ლორთქიფანიძე ე. იოსებ გრიშაშვილი. — თბ.: მეცნიერება, 1984.-186 გვ.

ი. გრიშაშვილის უმდიდრესი პირადი არქივის საგულდაგულო შესწავლის საფუძველზე, ავტორი წარმოაჩენს მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლის ცხოვრებისა და შემოქმედების გზას.

წიგნი მდიდარია ფაქტობრივი მასალით, დაწერილია პოპულარულად და განკუთვნილია არა მარტო სპეციალისტთათვის, არამედ ეროვნული პოეტური კულტურის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვისაც.

✓ ხინთიბაძე ა. ი. გრიშაშვილის პოეზია. — თბ.: სახელგამი, 1955.-178 გვ.

მკითხველი გაეცნო იოსებ გრიშაშვილის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე. ავტორი მიმოიხილავს მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ცდილობს მთელი სისრულით წარმოგვიდგინოს მისი შემოქმედებითი ზრდა-განვითარება; ანალიზებს ი. გრიშაშვილის, როგორც რეჟოლუციამდელ ისე მისი საბჭოთა პერიოდის შემოქმედებას. დასასრულს, ავტორი ეხება ი. გრიშაშვილის პოეზიის მხატვრულ მხარეს.

✓ ხუციშვილი ს. სიცოცხლე წიგნთან, წიგნისათვის, წიგნში... — თბ.: განათლება, 1978.-40 გვ.

პროფესორი ს. ხუციშვილი დიდი სიყვარულით გვაცნობს იოსებ გრიშაშვილის სწორუბოვარ ბიბლიოფილურ მოღვაწეობას.

✓ იბუტი ვ. ი. გრიშაშვილი. — თბ.: მერანი, 1969. — 81 გვ. ნაშრომი მიძღვნილია ი. გრიშაშვილის დაბადების 80 წლისთა-

ვისადმი. მასში განხილულია გამოჩენილი პოეტის მრავალმხრივი შემოქმედება და მის მიერ განვლილი ცხოვრების რთული გზა.

✓ ალავიძე მ. იოსებ გრიშაშვილის წერილები ალავიძე მ. ლიტერატურული წერილები. — თბ., 1981. — გვ. 83-100.

წერილი ეხება იოსებ გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა საკითხს, მის აქტიურ მონაწილეობას ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში.

წერილი დაყოფილია შემდეგ თავებად: იუბილარის სამადლობელი; „სონეტი ქუთაისს“, „არდავიწყება მოყვრისა“; დომენტი თომაშვილის დამფასებელი; ქართველოლოგის სინანული.

ბეჭიშვილი ე. ქართული ლექსის რაინდი ბეჭიშვილი ი. მათი შთაგონების წყარო. — თბ., 1987. — გვ. 89-101. —

წერილი მოგვითხრობს ი. გრიშაშვილის ღვაწლსა და უებრო სიყვარულის შესახებ აქარისადმი.

ვართავაძე ე. იოსებ გრიშაშვილი ვართავაძე ი. წერილები და მოგონებები. — თბ., 1975. — გვ. 311-325.

წერილში გაერთიანებულია ავტორის მიერ სხვადასხვა პერიოდში (1915 და 1952 წ.წ.) დაწერილი ორი ნაშრომი იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ, რომლებიც ავტორმა სამოციან წლებში შეასწორა, შეამცირა და შეაერთა ერთ სილუეტად.

✓ ზანდუკელი ფ. იოსებ გრიშაშვილის საყმაწვილო პოეზიის ფოლკლორული წყაროები ზანდუკელი ფ. ფოლკლორი და ქართველი საბავშვო მწერლები. — თბ., 1974, — გვ. 69-77.

წერილში მკითხველი გაეცნობა, თუ როგორ იყენებდა იოსებ გრიშაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ქალაქური ფოლკლორის ნიმუშებს თავის საბავშვო ნაწარმოებებში.

✓ თევზაძე ა. პოეზიის საზომი — ხალხის სიყვარული თევზაძე ა. ლიტერატურული წერილები. — თბ., 1977. — გვ. 181-193.

ი. გრიშაშვილის ცხოვრების, პოეტური შემოქმედებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს ავტორი.

✓ კანკავა გ. მაშრიყული აკმეიზმი ი. გრიშაშვილის პოეზიაში კანკავა გ. ლიტერატურული წერილები. — თბ., 1985. — გვ. 27-114.

ნაშრომი შეიცავს რამდენადმე ახალ თვალსაზრისს ი. გრიშაშვილის პოეზიის შესახებ, რომელიც ქართული კლასიკური ლექსის წიაღში იწყება, მაგრამ სტილური მიმართულებით და ლიტერატურული მნიშვნელობით ქართულ მოდერნიზმთანაა შეკავშირებული.

✓ მერკვილაძე გ. ჰიმნი სიყვარულს მერკვილაძე გ. შთაგონება მხატვრისა. — თბ., მერანი, 1980. — გვ. 98-152.

წარმოდგენილია იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული პორტრეტი. განხილულია მისი ვრცელი და მეტად შინაარსიანი შემოქმედება, რომელსაც თვით პოეტი ორ ძირითად ნაკადად ყოფს. პირველი ნაკადი—ინტიმურ-სატრფიალო ლირიკისა, ხოლო მეორე, საზოგად-

დობრივ-მოქალაქეობრივი მოტივების ნაკადი. მოთხრობილია მისი პოეტური ენისა და სტილის საკითხების შესახებ.

✓ რადიანი შ. იოსებ გრიშაშვილი რადიანი შ. მეოცე საუკუნის ქართული ლატერატურა. — თბ., 1959. — გვ. 252-260.

ავტორი აანალიზებს ი. გრიშაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელ ჟანრობრივ-თემატურ და მხატვრულ თავისებურებებს და მიგვითითებს მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე ასალი ქართული პოეზიის განვითარების საქმეში.

✓ ფარულავა გ. იოსებ გრიშაშვილი ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი. — თბ., 1986. — გვ. 306.

წერილი წარმოაჩენს იმ წვლილსა და დამსახურებას, რომელიც ი. გრიშაშვილს მიუძღვის მრავალსაუკუნოვანი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის შესწავლაში.

✓ ლლონტი შ. ქართული პოეზიის ოქროს დიდი ლლონტი შ. ლიტერატურული სილუეტები. — თბ., 1972. — გვ. 44-46.

ვეცნობით ი. გრიშაშვილის ლიტერატურულ პორტრეტს.

✓ ჭილაია ხ. იოსებ გრიშაშვილი ჭილაია ს. უახლესი ქართული მწერლობა. — თბ., 1975. — გვ. 235-268.

ნარკვევში განხილულია იოსებ გრიშაშვილის მიერ განვლილი მდიდარი და საინტერესო შემოქმედებითი გზა. ავტორი მიმოიხილავს პოეტის ბიოგრაფიას, აანალიზებს მის მხატვრულ ნაწარმოებებს, აღნიშნავს მის მთარგმნელობით მოღვაწეობას და დიდ ღვაწლს ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

✓ ჯიბლაძე გ. იოსებ გრიშაშვილი ჯიბლაძე გ. კრიტიკული ეტიუდები III. — თბ., 1959. — გვ. 181-217.

ვრცლად განხილული საქართველოს სახალხო პოეტის იოსებ გრიშაშვილის ცხოვრების გზა, მისი შემოქმედების ძირითადი მოტრეკები, მხატვრული სტილის თავისებურებანი.

✓ ჯიბუტი ვ. ი. გრიშაშვილი ჯიბუტი ვ. პორტრეტები და წერილები. — თბ., 1966. — გვ. 3-45.

ავტორი ვრცლად და შინაარსიანად განიხილავს ი. გრიშაშვილის შემოქმედებას.

✓ ჯიბუტი ვ. მწერლის პორტრეტისათვის ჯიბუტი ვ. თანამედროვენი. — თბ., 1979. — გვ. 23-32.

იოსებ გრიშაშვილის პორტრეტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის პიროვნებაზე.

✓ ჯორბენაძე ზ. იოსებ გრიშაშვილი და თბილისური ქართული ჯორბენაძე ზ. ბალავარი ქართულის. თბ., 1987. — გვ. 198-230.

წერილში განხილულია იოსებ გრიშაშვილის პოეტური ენისა და სტილის საკითხები.

არველაძე ბ. შესწავლას ელოდება — თბილისი. — 1986. — 9
ოქტ. — გვ. 4.

პუბლიკაციის მიზანია, მკითხველს მიაწოდოს პოეტის ი. გრი-
შაშვილის ზოგიერთი უცნობი ან ნაკლებად ცნობილი წერილი, რო-
მელსაც დართული აქვს შესაბამისი კომენტარები.

— სათათანი გ. იოსებ გრიშაშვილი ლიტ. საქართველო. —
1981.-18 სექტ. (№ 38). — გვ. 4.

ამ წერილში ავტორი გეთავაზობს ი. გრიშაშვილის შემოქმედე-
პით პორტრეტს.

✓ გაბუნია კ. იოსებ გრიშაშვილის წერილები // დროშა. — 1981.
— № 10. — გვ. 21.

ავტორი მოგვითხრობს ალექსანდრე ნეიმანის არქივში დაცულ
ი. გრიშაშვილის წერილებზე, რომლებიც გამოგზავნილია გაზეთე-
ბის „სახალხო-ფურცლისა“ და „სახალხო საქმის“ თანამშრომლის,
საზოგადო მოღვაწის, ნინო-ბარნაბიშვილ-ნეიმანის სახელზე.

✓ კვანჭილაშვილი ტ. იოსებ გრიშაშვილის არდავიწყება ახ. კო-
მუნისტი. — 1988.-26 მარტი.

ავტორი მიმოიხილავს ი. გრიშაშვილის ღრმად შინაარსიან შე-
მოქმედებას, განიხილავს მის პოეზიას და აღნიშნავს, რომ „იოსებ
გრიშაშვილის დავიწყება ნიშნავს ჩვენი პოეტური კულტურის ერ-
თი მნიშვნელოვანი მონაპოვრის დავიწყებას. ქართული პოეზიის
გალარბებებას.“

✓ ლორთქიფანიძე ი. იოსებ გრიშაშვილი — ლიტერატურათმცოდ-
ნე მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. — 1958. — № 3. — გვ.
5-14.

ნაშრომში დახასიათებულია ი. გრიშაშვილის ლიტერატურათ-
მცოდნეობითი ნაწარმოებები და აღნიშნულია, რომ მისი წერილები,
ნარკვევები, გამოკვლევები, მონოგრაფიები ჩვენი მწერლობის სა-
ყურადღებო მონაპოვარია.

✓ ლორთქიფანიძე ი. ი. გრიშაშვილი ქართული პერიოდულს
პრესის თანამშრომელი მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია.
— 1984. — № 1. — გვ. 26-40.

წერილის ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს ი. გრიშაშვი-
ლის მოღვაწეობაზე ქართულ პერიოდიკაში.

✓ ლორთქიფანიძე ი. იოსებ გრიშაშვილის პოეტიკის საკითხებ
მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. — 1982. — № 2. — გვ.
5-21.

იოსებ გრიშაშვილს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქარ-
თული ლექსის ბგერითი კეთილხმოვნების მოწესრიგების, მასში
მრავალი სიახლის დამკვიდრების საქმეში. ნაშრომში გავეცნობო

სწორედ იმ სიახლეების დახასიათებას, რომელიც დაკავშირებულია ი. გრიშაშვილის სახელთან.

მეგრელიძე ე. იოსებ გრიშაშვილის კიდევ ერთი ბარათი ნიკო მარს საბჭ. ხელოვნება. — 1980. — გვ. 94-95.

საუბარია ი. გრიშაშვილის მიერ ნიკო მარისადმი გაგზავნილ ბარათზე, რომელიც დაცულია სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქ. - ვის ლენინგრადის განყოფილებაში. ამ ბარათში ი. გრიშაშვილის მონოგრაფიის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის“ რუსული თარგმანის გამოქვეყნებაზეა საუბარი.

✓ მელიქსეთ-ბეგი. იოსებ გრიშაშვილი და სომხური ლიტერატურა პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები. — 1957. — ტ. XI. გვ. 249-277.

ნაშრომში მოთხრობილია იმ დიდი ღვაწლის შესახებ, რომელიც მიუძღვის სასიქადულო ქართველ პოეტს ი. გრიშაშვილს სომხური ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში.

✓ მხარგრძელი ს. დადიოდა პოეტი წიგნების დასტი. წიგნის სამყარო. — 1980. — 14 მაისი (№ 9). — გვ. 4.

წერილი დაიწერა ი. გრიშაშვილის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით. მასში ავტორი დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგვითხრობს ჩვენი სასიქადულო პოეტის შესახებ.

✓ ნარიშინაშვილი ა. ი. გრიშაშვილი თბილისური ჩონა-ახალუხის შესახებ ძეგლის მეგობარი. — 1983. — № 64. — გვ. 67-72.

ცნობილი ქართველი პოეტის ი. გრიშაშვილის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ხელნაწერი დაცულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საპრობლემო ჯგუფის არქივში. ხელნაწერი ეხმაურება და ავსებს მწერლის ბრწყინვალე გამოკვლევას „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. სწორედ, ამ წერილის შესახებ მოგვითხრობს ავტორი.

✓ ნიქოლეიშვილი ა. იოსებ გრიშაშვილი ცისკარი. — 1986. — № 6. — გვ. 140-149.

შტრინები ი. გრიშაშვილის ლიტერატურული პორტრეტისათვის.

✓ ფურცელაძე მ. გრიშაშვილობა სამშობლო. — 1986. — (№ 10, მაისი). — გვ. 7.

წერილი მოგვითხრობს პოეტ-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში გამართული „გრიშაშვილობის“ შესახებ, რომელიც ოცდამეორედ აღინიშნა.

✓ ლვინეფაძე ნ. როცა ყოველი ფურცელი ისტორიაა კომუნისტი. — 1986. — 30 მაისი.

ვეცნობით ცნობილი ქართველი მკვლევარისა და კრიტიკოსის შალვა რადიანის არქივში შენახულ მასალას, რომელიც ი. გრიშაშვილის პიროვნებას გვაცნობს.

✓ შამელაშვილი რ. გრიშაშვილის ხელნაწერი ლექსიკონები განთიადი. — 1980. — № 6. — გვ. 177-179.

წერილი მოგვითხრობს ი. გრიშაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონების შესახებ და აღნიშნავს იმ ღვაწლს, რომელიც მას მიუძღვის ქართული ლექსიკოგრაფიის გამდიდრების საქმეში.

✓ ჯაოშვილი გ. თბილისის მეზვრე თბილისი. — 1985. — 21 აპრ. — გვ. 5.

23 აპრილს სარფუხში გაიმართა ღღესასწაული „გრიშაშვილობა“, რომლის შესახებაც მოგიითხრობს ავტორი.

✓ ჯიბუტი ვ. იოსებ გრიშაშვილი ჯიბუტი ვ. თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერლები. — თბ., 1974. — გვ. 16-30.

წერილში განხილულია იოსებ გრიშაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საბავშვო ნაწარმოებებზე. აღნიშნავს მის დიდ ღვაწლს ქართული საბავშვო მწერლობის შექმნასა და განვითარებაში.

ი. გრიშაშვილი და თეატრი

გრიშაშვილი ი. თეატრალური წერილები. — თბ.: ხელოვნება, 1960. — 167 გვ.

კრებულში შესულია ი. გრიშაშვილის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები, რომლებიც თეატრსა და თეატრალურ ცხოვრებას ეხება. აქვეა მოგონებები ლალო მესხიშვილზე, კოტე მარჯანიშვილსა და ვერიკო ანჯაფარიძეზე.

✓ კიკნაძე ვ. იოსებ გრიშაშვილი კიკნაძე ვ. სივრცე თეატრისა. — თბ., 1975. — გვ. 141-144.

წერილი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა თეატრმა სასიქადულო პოეტის ი. გრიშაშვილის ცხოვრებაში. რა ზემოქმედება მოახდინა მისი, როგორც პოეტის ფორმირებასა და მომავალზე.

✓ ლორთქიფანიძე ი. იოსებ გრიშაშვილი და თეატრი მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. — 1981. — № 2. — გვ. 5-22.

ვეცნობით იმ წერილებსა და ნაშრომებს, რომლებიც ი. გრიშაშვილმა ქართულ თეატრს უძღვნა ამ ნაწარმოებებში პირველწყაროებზე დაყრდნობით სამსჯავრობეა გამოტანილი ჩვენი ეროვნული თეატრალური ცხოვრების საინტერესო საკითხები.

✓ ჯაოშვილი გ. ხელოვნება იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში გრიშაშვილი ი. ხელოვნებას. — თბ., 1979. — გვ. 5-18.

წერილში ვეცნობით იოსებ გრიშაშვილის თეატრალური მოღვაწეობის პერიოდს და შემოქმედების იმ ნაწილს, რომელიც ნათლად მეტყველებს ი. გრიშაშვილის ფანტიკურ სიყვარულზე ქართული ხელოვნების, განსაკუთრებით თეატრისა და მსახიობის ხელოვნებისადმი.

ОТ СОСТАВИТЕЛЕЙ

В апреле 1989 года исполняется 100 лет со дня рождения народного поэта Грузии, академика Академии наук Грузинской ССР, лауреата Государственной премии СССР, заслуженного деятеля искусства Армянской ССР, общественного деятеля, литературоведа и известного bibliофила Иосифа Гришашвили. Его творчество по праву занимает почетное место в грузинской поэзии.

Отдел рекомендательной библиографии Государственной Республиканской библиотеки Грузинской ССР им. К. Маркса подготовил в связи с памятной датой рекомендательный указатель литературы на грузинском и русском языках. В указателе внесена литература в основном за последние 15-20 лет. Исключения составляют сборники поэзии И. Гришашвили, монографии и наиболее ценные книжные и журнальные статьи. С более ранней литературой читатель может познакомиться, используя наш указатель, выпущенный в связи с 90-летием Иосифа Гришашвили. Указатель аннотирован, материал расположен в следующем порядке:

От составителей

Биографическая справка и обзор творчества произведений, переведенных на русский язык

Издания произведений Иосифа Гришашвили и литература о нем

Целью настоящего указателя является оказание помощи как работникам библиотек, так и широкому кругу читателей, интересующихся жизнью и творчеством выдающегося грузинского поэта.

Отбор материала завершён в сентябре 1988 года.

I. ИОСИФ ГРИШАШВИЛИ

23/IV 1889-3/VIII-1965

Народный поэт Грузии, академик Академии наук Грузинской ССР, лауреат Государственной премии СССР, заслуженный деятель искусств Армянской ССР, поэт, переводчик

